ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ № 10 18/10/80

ქ. თბილისი **დეკემბერი 2020 წელი**

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ, სსიპ-თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი მისი უფროსის ვიქტორ წილოსანის სახით და მეორეს მხრივ, შპს ,,თეგეტა მოტორსი” (შემდგომში - „მიმწოდებელი”), წარმოდგენილი სახელმწიფო ორგანიზაციებთან ურთიერთობის განყოფილების უფროსის ჟორა რუხაძის (ბრძანება #3; გაცემული 2020 წლის 10 იანვარს, შპს „თეგეტა მოტორსის“ გენერალური დირექტორის ავთანდილ წერეთლის მიერ) სახით, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის, „ს[1]“ ქვეპუნქტის შესაბამისად და მათი გათვალისწინებით გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, შეთანხმდნენ შემდეგზე:

2. ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტი, შესყიდვის საშუალება
და ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტია: ზამთრის საბურავები.

2.2 რაოდენობა და შესყიდვის ობიექტის აღწერილობა, ტექნიკური მახასიათებლები: იხილეთ დანართი N1;

2.3 შესყიდვის საშუალება: გამარტივებული შესყიდვა, მონეტარული ზღვრის დაცვით;

2.4 ხელშეკრულების ღირებულება: 3960 (სამი ათას ცხრაას სამოცი) ლარი, თანმდევი მომსახურების, ყველა ხარჯისა და გადასახადის ჩათვლით.

2.5 კლასიფიკატორის კოდი (CPV): 34351000 - მცირე ტვირთამწეობის მანქანების საბურავები.

3. შესყიდვის ობიექტის გარანტია

3.1 მიმწოდებელი ვალდებულია განახორციელოს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო შესყიდვის ობიექტის მიწოდება მოქმედი ყველა საჭირო ნორმების, სტანდარტების, წესებისა და მოთხოვნების დაცვით.

3.2 გარანტია გავრცელდება შესყიდვის ობიექტზე სწორი ექსპლუატაციის შემთხვევაში არანაკლებ 50 000 (ორმოცდაათიათასი) კმ. გარბენზე.

3.3 საბურავმა საგარანტიო ვადის ამოწურვამდე არ უნდა განიცადოს დეფორმაცია და უნდა ექვემდებარებოდეს ბალანსირებას, წინააღმდეგ შემთხვევაში საბურავი უნდა შეიცვალოს იდენტური პარამეტრების მქონე ახალი საბურავით.

3.4. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას საქონლის საგარანტიო პერიოდის განმავლობაში უზრუნველყოს გამოვლენილი ხარვეზის ან/და ნაკლის აღმოფხვრა შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში ან შეცვალოს ახალი შესყიდვის ობიექტით, - შემსყიდველის მხრიდან დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.

3.5. საქონლის ქარხნული წუნის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია, განახორციელოს წუნდებული საქონლის ახლით შეცვლა შემსყიდველის მიმართვიდან არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში. შეცვლა უნდა განხორციელდეს შემსყიდველის მიერ წუნდებული საქონლის მიმწოდებლის სერვის ცენტრში მიტანისას.

3.6 გარანტია არ ვრცელდება ქვემოთ ჩამოთვლილი მიზეზებით დაზიანებულ საბურავებზე:

ა) მექანიკური;

ბ) გარეგანი ზემოქმედებით (გადახურება/ე.წ. “დაბუქსავება“);

გ) ტვირთამწეობის გადაჭარბება;

დ) ბორდიურზე მიჯახება;

ე) ე.წ. „ჩარტყმა“.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა და ადგილი

4.1 ხელშეკრულებით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, არაუგვიანეს 3 სამუშაო დღის განმავლობაში. შემსყიდველის მიერ საქონლის მოთხოვნა უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ ელ. ფოსტის მეშვეობით (შემსყიდველის ელ. ფოსტის მისამართი: l.loria@tbilisi.gov.ge; მიმწოდებლის ელ. ფოსტის მისამართი: stateunit@tegetamotors.ge).

4.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების, დემონტაჟი-მონტაჟის, ბალანსირების ადგილია ქ. თბილისის მასშტაბით, მიმწოდებლის სერვის ცენტრში.

5. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის გადაცემის დადასტურების მიზნით, საქონლის მიწოდებისას შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

5.2. საქონელი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ.

5.3. შემსყიდველის მხრიდან საქონლის მიღებასა და მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირია

„სსიპ-თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს“ შესაბამისი თანამშრომელი. მიმწოდებლის მხრიდან საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირ(ებ)ი არიან სახელმწიფო ორგანიზაციებთან ურთიერთობის განყოფილების თანამშრომლები.

6. ანგარიშსწორების პირობები

6.1. ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად ან მთლიანად საქონლის მიწოდების შემდეგ, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის გაფორმებისა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

6.2. დაფინანსების წყარო: თბილისის 2020 წლის ბიუჯეტის სახსრებით.

6.3. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

6.3.1. ანგარიშსწორების ვალუტა -ლარი.

6.3.2. ანგარიშსწორების ფორმა–უნაღდო

6.3.3. ანგარიშსწორება მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობები

7.1. შემსყიდველი ვალდებულია:

7.1.1. მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

7.1.2. უზრუნველყოს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონლის მიღება.

7.1.4. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაციის მიწოდება აწარმოოს წერილობით ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

7.2. **შემსყიდველს უფლება აქვს**:

7.2.1. მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულება.

7.2.2. უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;

7.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

7.3.1. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

7.3.2. საქონლის მიწოდება განახორციელოს ხელშეკრულების და დანართი N 1-ის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

7.3.3. პასუხი აგოს საბურავების ხარისხის შესაბამისობაზე დანართი N1-ით დადგენილ ტექნიკურ მაჩვენებლებთან.

7.3.4. შემსყიდველს მიაწოდოს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი;

7.3.5. წინამდებარე ხელშეკრულების შესრულების პროცესში წამოჭრილი ნებისმიერი საკითხი, მათ შორის გაუთვალისწინებელ ხელშემშლელ გარემოებებთან დაკავშირებით, დაუყოვნებლივ წერილობით ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით ინფორმაცია მიაწოდოს შემსყიდველს შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ.

7.3.6. განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს პასუხი იმ საშუალებით რითაც მიიღო პრეტენზია, ყველა საკითხზე;

7.3.7. ხელი შეუწყოს შემსყიდველს კონტროლის განხორციელებისას.

7.4. მიმწოდებელს უფლება აქვს:

მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის, მათ შორის საქონლის მიწოდების, ხარვეზის აღმოფხვრის ან/და ნაკლის გამოსწორებისათვის განსაზღვრული ვადის გადაცილების შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მისაწოდებელი საქონლის ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

8.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

9. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

9.1. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

9.2. თუ წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10. დაუძლეველი ძალა (ფორს-მაჟორი)

10.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, ეპიდემია, კარანტინი ან მსგავსი მოვლენა. თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

10.2. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში წინამდებარე ხელშეკრულების მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, პირველი შესაძლებლობისთანავე უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებებისაგან.

10.3. თუ ფორს-მაჟორული მდგომარეობის გამო, სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისას მხარეები შეწყვეტენ წინამდებარე ხელშეკრულებას, მათ არ აქვთ კომპენსაციის მოთხოვნის უფლება.

10.4.ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობა დადასტურებულ უნდა იყოს უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს მიერ.

11.ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

11.1. შემსყიდველი ორგანიზაციის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი ან/და გამოცადონ საქონელი, რათა დარწმუნდნენ მათი კონტრაქტით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან შესაბამისობაში.

11.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელებისათვის აუცილებელი პერსონალისა და ტექნიკური საშუალებების გამოყოფა, ასევე უზრუნველყოს საჭირო სამუშაო პირობები. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაცია ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვითონ შემსყიდველი ორგანიზაცია.

11.3. შემსყიდველი შესყიდვის ობიექტის მიწოდების და მომსახურების გაწევის კონტროლს ახდენს სისტემატურად, საკუთარი შეხედულებისამებრ. კონტროლი ხორციელდება როგორც შუალედური ფორმით - შესყიდვის ობიექტის მიწოდების პროცესში, ისე მისი დამთავრების შემდგომ. შემსყიდველი იტოვებს უფლებას, ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე მოახდინოს დამატებითი კვლევა.

11.4. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის/ნაკლის აღმოფხვრა ან წუნდებული საქონლის შეცვლა.

11.5. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ შემსყიდველი ორგანიზაციის თანამშრომლები.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა, ცვლილების შეტანა

12.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებლის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ.

12.2 მიმწოდებელი ვალდებულია შეატყობინოს შემსყიდველს ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი, ხოლო შემსყიდველმა აცნობოს

მიმწოდებელს ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება და ამოქმედების თარიღი.
12.3 ხელშეკრულების შეწყვეტისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
12.4 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
12.5 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ, მათ შორის შემდეგ შემთხვევებში:
ა) მიმწოდებლის მიერ შესაბამისი დოკუმენტაციის მიწოდების ვადის 10 (ათი) კალენდარულ დღეზე მეტი ვადით გადაცილების შემთხვევაში.
ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.
გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, მათ შორის მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ნებისმიერი ისეთი დარღვევის დროს, რაც შეუძლებელს ხდის ნორმალური სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებას, ან იწვევს შემსყიდველის ინტერესის დაკარგვას სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებისადმი.

13. სადაო საკითხების გადაწყვეტა

13.1.ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის წარმოშობილი ყველა დავა უნდა გადაიჭრას ურთიერთმოლაპარაკების გზით.
13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14.კონფიდენციალურობა

14.1. მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ ერთმანეთის საკუთრებას, არ გახადონ მესამე პირთათვის ცნობილი ყველა ის ინფორმაცია, რომელიც ითვლება კონფიდენციალურად.
14.2. ვალდებულება კონფიდენციალურობის შესახებ ძალაში რჩება ხელშეკრულების დამთავრების შემდეგაც.

15. სხვა პირობები

15.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
15.2 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი ნებართვის გარეშე.

16.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1 ხელშეკრულების მოქმედების ავდა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2021 წლის 31 მარტამდე.

17. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

“შემსყიდველი”
„სსიპ – თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო“
მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. N7
საიდ. კოდი: 205393689
საბანკო რეკვიზიტები:
სახელმწიფო ხაზინა
კოდი: TRESGE22
ა/ა GE24NB0330100200165022

სააგენტოს უფროსი
/ვიქტორ წილოსანი/

“მიმწოდებელი”
შპს ,,თეგეტა მოტორსი“

მის.: თბილისი, დ.აღმაშენებლის ხეივანი მე-12კმ №5
საიდ. კოდი: 202177205
საბანკო რეკვიზიტები:
სს „თიბისი ბანკი“
ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ა GE80TB0600000024467853

სახელმწიფო ორგანიზაციებთან ურთიერთობის
განყოფილების უფროსი
/ჟორა რუხაძე/

Tegeta Motors LLC
Digitally signed by Tegeta Motors LLC
DN: cn=Tegeta Motors LLC, 2.5.4.97=NTRGE-202177205, o=••• •••••• •••••••, c=GE
Date: 2020.12.23 18:49:55 +04'00'

ფასების ცხრილი

N	სეზონი (მარკირება)	დაუშვებელი მარკირება	საბურავის ზომა	ბრენდი	ბრენდის წარმოშობის ქვეყანა	საბურავის მოდელი	ერთეულის ღირებულება (ლარი)	რაოდ-ბა	საერთო ღირებულება (ლარი)
1	ზამთარი (ფიფქი მარკირება)	A/T ან/და M/T	R15 195/65	Riken	სერბეთი	Snow	135	8 ცალი	1080
2	ზამთარი (ფიფქი მარკირება)	A/T ან/და M/T	R15 205/60	starmaxx	თურქეთი	W850	195	12 ცალი	2340
3	M+S ან/და A/S	A/T ან/და M/T ან/და ფიფქი	R16 215/60	Hifly	ჩინეთი	HF201	135	4 ცალი	540
							სულ ჯამი		3960

შემსყიდველი:
სსიპ - ტრანსპორტის განვითარების სააგენტო
საიდ. კოდი: 205393689

სააგენტოს უფროსი

ვიქტორ წილოსანი

მიმწოდებელი:
შპს „თეგეტა მოტორსი“
საიდ. კოდი: 202177205

სახელმწიფო ორგანიზაციებთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი

ჟორა რუხაძე

ხელწერილი
ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი

დეკემბერი 2020 წელი

ქვემოთ ხელის მომწერნი და ხელშეკრულების გაფორმებაზე უფლებამოსილი პირი ვადასტურებ, რომ მცირე ტვირთამწეობის ავტომანქანებისთვის ზამთრის სეზონის საბურავების სახელმწიფო შესყიდვის პროცესში, მონაწილე მიმწოდებელთან (შპს ,,თეგეტა მოტორსი") მიმართებაში ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე–8 მუხლის მოთხოვნებს და ტენდერში მონაწილეობით ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

„სსიპ – თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს" უფროსი — ვიქტორ წილოსანი

„სსიპ – თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს" უფროსის მოადგილე — დავით ჯაიანი

„სსიპ – თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს" ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი — ბონდო გასვიანი

„სსიპ – თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს" ადმინისტრაციული სამსახურის შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი — გოგა გიორგაშვილი